

საიდ. №66696/03

IR 701357

გ ა დ ა ო ვ ე კ ე ტ ი ლ ე ბ ა №91-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბელვედერე“-ს (BELVEDERE) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №91-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 01 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №219/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DANZKA“ (საიდ. №66696/03 IR 701357) დაცვის მინიჭება საქართველოში 33-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა) წარმოებული დანიაში“ (Alcoholic beverages (except beers) produced in Denmark) (33-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 01 თებერვლის №219/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მიანიშნებს საქონლის დანიურ წარმოშობაზე, ხოლო განმცხადებელი არის ფრანგული კომპანია, ეს კი შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის შესახებ, რის გამოც განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ბელვედერე“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ექსპერტიზას განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად მითითებული აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც, შესაძლებელს ხდის, მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ“, ხოლო, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სიმბოლო „DANZKA“ არცერთ ენაზე არ წარმოადგენს გეოგრაფიულ დასახელებას, სიმბოლო „DANZKA“ წარმოადგენს ფანტაზიურ აღნიშვნას და შესაბამისად იგი ვერ იქნება შეცდომაში შემყვანი საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ექსპერტიზამ აღნიშვნა „DANZKA“ მიიჩნია დანიური სიტყვის „DANSKA“ მსგავსად და ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენება არამართლზომიერია, ვინაიდან საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის დასამტკიცებლად აღნიშვნა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დასახელების ლექსიკონურ ერთეულს და მასთან ასოციაციის შედეგად მიმსგავსებული ტერმინის საფუძველზე უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანა ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე არამართებულია. აპელანტის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზამ

ზუსტად იცოდა, რომ ქარველი მომხმარებლის უმრავლესობა სასაქონლო ნიშნით „DANZKA” მონიშნულ საქონელს ჩათვლიდა დანიური წარმოშობის საქონლად, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანიის „ბელვედერე” მიერ წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელი მზადდება დანიური ხორბლისგან, რასაც ასევე ადასტურებს კომპანიის „ბელვედერე” თანხმობა, რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში შეიზღუდოს საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა), წარმოებული დანიაში” (Alcoholic beverages (except beers) produced in denmark). აპელანტის მითითებით, დანიაში სასაქონლო ნიშანს „DANZKA” განკარგავს კომპანიის „ბელვედერე” შვილობილი კომპანია „ბელვედერე სკანდინავია ა/ს”. ყოველიველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 01 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №219/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DANZKA” (საიდ. №66696/03 IR 701357) დაცვის მინიჭებას საქართველოში 33-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა) წარმოებული დანიაში” (Alcoholic beverages (except beers) produced in Denmark).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ” ქვეპუნქტის თანახმად, „სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მცდარი წარმოდგენა შეუქმნას მომხმარებელს საქონლის თვისების, ხარისხის, გეოგრაფიული წარმოშობის ან საქონლის სხვა მახასიათებლების შესახებ”.

სააპელაციო პალატის კოლეგია ეთანხმება საქპატენტის ექსპერტიზის გადაწყვეტილებას, რომ სიტყვიერი აღნიშვნა „DANZKA”, ქართველი მოხმარებლისთვის ასოციაციურად დაკავშირებულია „DANSKA”-სთან ანუ დანიასთან და მიანიშნებს საქონლის დანიურ წარმოშობაზე, მაშინ როდესაც

განმცხადებელი არის ფრანგული კომპანია. კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით რომ სიტყვიერი აღნიშვნა საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის დასამტკიცებლად ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს დასახელების ლექსიკონურ ერთეულს და მიაჩნია, რომ ნებისმიერი სიტყვიერი აღნიშვნა, მიუხედავად იმისა იგი ზუსტად შეესაბამება თუ არა ამა თუ იმ სიტყვის ზუსტ ლექსიკონურ ჩანაწერს, ასოციაციურად იგი არ უნდა ხდიდეს შესაძლებელს, რომ მომხმარებელი შევიდეს შეცდომაში საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ. ამასთან, აპელანტი თანახმაა შეზღუდოს 33-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი შემდეგნაირად: „ალკოჰოლიანი სასმელები (ღუდის გარდა) წარმოებული დანიაში“ (Alcoholic beverages (except beers) produced in Denmark). სააპელაციო პალატის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული შეზღუდვის გათვალისწინებით, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალში პირდაპირ არის მითითებული წარმოებული პროდუქციის დანიური წარმომავლობის შესახებ, რაც გამორიცხავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „DANZKA“ (საიდ. №66696/03 IR 701357) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიც არ არსებობს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბელვედერე“-ს (BELVEDERE) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 01 თებერვლის №219/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „DANZKA“ (საიდ. №66696/03 IR 701357) მიენიჭოს დაცვა საქართველოში 33-ე კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ალკოჰოლიანი სასმელები (ლუდის გარდა) წარმოებული დანიაში“ (Alcoholic beverages (except beers) produced in Denmark).
4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ი. გიქორაშვილი

წევრები:

დ. ჭიჭინაძე

მ. ბაკურაძე